№ 156

ხუთშაბათი, 20 ივლისი, 1900 წ.

**ბაზეთის ფასი:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 | — | 6 . . . | 6 | — |
| 11 . . . | 9 | 50 | 5 . . . | 5 | 50 |
| 10 . . . | 8 | 75 | 4 . . . | 4 | 75 |
| 9 . . . | 8 | — | 3 . . . | 3 | 50 |
| 8 . . . | 7 | 25 | 2 . . . | 2 | 75 |
| 7 . . . | 6 | 50 | 1 . . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის“ ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 156

ხუთშაბათი, 20 ივლისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის“ ტელეფონი № 227

**მღვდელი ლუკა მათეს ძე, ქრისტინე დავითის ასული, ნატალია, ელენე, სერგეი, არკადი და ლუკა ბახტაძენი აუწყებენ** ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაცვალებულის

## ილია ლუკას ძის ბახტაძის

გვამის დაკრძალვა დანიშნულია ხუთშაბათს, 20 ივლისს, დილის 10 საათზედ, დაბა ხონში. პანაშვიდი ყოველ დღე, საღამოს 7 საათზედ. (3—მ.—3)

სსენაკის ამაზრო

## გამგეობა

იწვევს მსურველთ სენაკის მაზრის სასოფლო გამგეობებში **საქმის მწარმოებლის თანამდებობებზედ დასანიშნავად.** საქმის მწარმოებელს საზოგადოებისაგან ჯამაგირად ეძლევა 300 დგან 400 მანეთამდე.

მსურველი ახალ სენაკში სამაზრო გამგეობაში უნდა გამოცხადდეს, ან მან თხოვნა უნდა გამოგზავნოს. თან თხოვნას მოწმობებიც უნდა ახლდეს ვინაობისა, კეთილ-საიმედობისა და წინანდელ სამსახურის შესახებ. (5—6.—4)

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჯიჯინაძე.**—კბილის სნეულებანი. 8—10 საათ.

**გ. ვ. მალალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**მ. გ. წერეთელი,** 12—1 ს. შინაგანი და ბავშვებისა.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**მ. ლ. მარკევიჩი**—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. საფოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაბეგოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 საათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი-

4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგანაშვილისა, № 21 (კარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. საფოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ქ. ი. გძელიშვილი.** $12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ზ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 ს.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

დირექტორი სამკურნ: მედიცინის დოქტორი ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.*

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

## მკურნალი

## ვ. გ. წერეთელი

იღებს

შინაგან და ბავშვების სნეულებით ავადმყოფთ დილის 9—12 საათამდე. და საღამოს 6—8 საათამდე.

ადრესი: ელისაბედის ქუჩა, № 27, ჯაფარიძის სახლი. (უ)

# ახალი ამბავი

*** გუშინ, 19 ივლისს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიაში პანაშვიდი იქმნა გარდახდილი განსვენებულის ილია ბახტაძის (ხონელის) სულის მოსახსენებლად. პანაშვიდს დაესწრნენ განსვენებულის პატივისმცემელნი, ადგილობრივის გაზეთების წარმომადგენელნი და სხ.

დღეს, ხუთშაბათს, 20 ივლისს, 12 საათზედ ქვაშვეთის ეკკლესიაში გარდახდილი იქმნება პანაშვიდი განსვენებულის ილია ბახტაძის (ხონელის) სულის მოსახსენებლად გაზ. „ტფილისის ფურცლის“ თანამშრომელთა მეთაურობით.

*** მიწად-მოქმედების სამინისტროს განუზრახავს მოაწყოს საშუალო სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლები ისე, რომ პროგრამით ეს სასწავლებლები რეალურს სასწავლებლებს უდრიდნენ, რათა შეძლება მისცეს მოსწავლეთ უმაღლეს სპეციალურ სასწავლებლებში შესვლისა.

*** ტომსკის სატეხნოლოგო ინსტიტუტში სწავლა ამა წლის სექტემბრიდგან დაიწყება. სხვათა შორის ინსტიტუტში იმ სემინარიელთაც მიიღებენ, რომელნიც ფიზიკასა და მათემატიკაში ეგზამენს დაიჭერენ.

*** ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს ბ-ნს სვეჩინს თიანეთის მაზრიდგან ტფილისში მოელიან დღეს, 20 ივლისს. გუბერნატორთან ერთად დაბრუნდება აგრეთვე გუბერნიის მკურნალი ბ-ნი ქიქოძე.

*** აქამდის კერძო დრო-გამოშვებით გამოცემათ კორესპონდენციები და სხვა-და-სხვა ცნობები შავის ჭირის და სხვა გადამდებ სენის გავრცელების შესახებ რუსეთსა ან მეზობელ სახელმწიფოებში შეეძლოთ გამოექვეყნებინათ იმ პირობით, თუ ამის ნება-რთვას შავის ჭირის საწინააღმდეგო კომისიის თავმჯდომარისა ან ბეჭდვით საქმეთა მთავარ-სამმართველოსაგან აიღებდნენ. ეხლა, როგორც ბეჭდვითი საქმის მთავარ სამმართველოს მიერ გამოცემულ ცირკულიარიდგანა სჩანს, შესაძლებლად უცვნიათ, ახალს განკარგულებამდე, რომ ასეთის ცნობებისა და კორესპონდენციების დაბეჭდვის ნება სამკურნალო დეპარტამენტისაგან აიღონ.

*** ფინანსთა სამინისტრომ განმარტა, რომ ის გლეხნი ანუ ქალაქის მკვიდრნი („მეშჩანინი“), რომელნიც საბეითალო ინსტიტუტში დაასრულებენ სწავლას ბეითლისა ანუ საბეითალო მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხით, გამორიცხულ იქმნებიან ხარჯის გამღებთა წოდებიდგანაო.

*** როგორც ზოგიერთი რუსეთის გაზეთი სწერს, განზრახვა თურმე აქვთ მომავალის წლიდგან რუსეთის რკინის გზებზედ მსახურთ რკინის გზით უფასოდ სიარულის ნება მოუსპონ და სამაგიეროდ ჯამაგირები მოუმატონ. არ იქმნება გაუქმებული მხოლოდ სამსახურის გამო წასასვ-

# ფელეტონი

## გარდაბანისა და გაჩიანის საერისთაონი და მათნი ნაშთნი

„Да! если бы всѣ слезы, кровь и потъ,
пролитые здѣсь...
Изъ нѣдръ земныхъ всѣ выступили вдругъ,
то былъ-бы вновь потопъ“.
Пушкинъ

(შემდეგი *)

ქარვასლის ხეობა

მაღალ თრიალეთის მთა ვაკიდგან თუ ალმოსავლეთისაკენ ჩამოვეშვებით, გადმოვხედავთ ქარვასლების მთავაკეს, რომელსაც შუაზედ ღრმადა სჭრის ქციის ხრამი ენიდგან დაწყებული ნახიდურამდე. ხრამის გაღმა მოსჩანან ტყიანი მთა-ღრენი ახბულახისა, სამშვილდესი, სამღერეთისა, ხოლო ხრამ გამოღმა უტყეო ვაკე ქარვასლებისა. ორივენი ერთს სიმაღლეზედ აზურცვილან, მხოლოდ ჩრდილოეთიდგან ცოტას დასცინის გაშოტილი მთა ბენდერისა, სამხრეთით მთა ლუკუმისა. ლუკუმს ეძახიან ლუკა მახარებლის საყდრის გამო, რომელიც ზედ თხემზედ არის აშენებული. ბენდერს ეხლა ყველა ბედემს ეძახის.

მაღალი თრიალეთის ფერდობები აქ ფართეა და მაღლებიც; უტყეოა და შემოსილი მეტად ძვირფასის საძოვრებით. უხსოვარ დროიდგან თუ მაღლობ თრიალეთზედ ცხვრის ფარები მიდიოდა ზაფხულში, აქ ჩერდებოდა ძროხისა და ცხენის ჯოგები... ეხლა საუკეთესო ადგილები გერმანელ ყველის მექარხნეებმა დაიჭირეს და დანარჩენ ადგილებში ფეხს ვერ აუქცევ თათრის ალაჩოყებსა და საქონელს; თათრები აქა სწველავენ საქონელს და ცოლ-შვილსაც ზაფხულობით აქ აგრილებენ...

ქაჩალ-გორიდგან რომ ქარვასლის თავ-ვაკეში ჩავეშვება, მგზავრი მომდის ორ ხევს შუა—შამბიანს-არყიანს შორის. აქ ვახუშტი ასახელებს წყაროს, რომელიც „მარმარილოთი აღაშენა მეფე ვახტანგმაო“. მარმარილოს ნასახიც აღარაა აქ, მაგრამ საზაფხულოდ მოსული თათრები გიჩვენებენ მშვენიერ წყაროს, რომელსაც დღესაც „სარდარ-ბულარს“ (სარდლის წყაროო) ეძახიან. „ამავე მეფემ აქ მოკლა ერთ დღეს 140 ირემიო“, ამბობს ვახუშტი მეფე ვახტანგ სჯულმდებელის შესახებ... სადღაა ეხლა აქ ირემი, მათ მაგიერ გერმანელ მექარხნეთ თავიანთი საქონელი გაუშლიათ, საუკეთესო ალაგ-საძოვრებზედ ქარხნები მოუწყვიათ და ყველ-კარაქით ოქროებს ჰხვეტენ... სადღაა ადგილები, რომ საზაფხულოდ ქართლ-კახეთიდგან აქ არქიანი საქონელი ავიდეს ჩვეულებრივ საძოვრად?! ან თვით საქონელიღა მოიპოვება ბარში გალატაკებულ ხალხს?!.

შამბიანიდან და არყიანიდგან სდგება მდ. ზურთაკეტა, რომელსაც ეხლა ყარაბულახის წყალს ეძახიან. „აქ სდევს დაბა ყარაბულახიო“, ამბობს ვახუშტი, რომელსაც გარს ზურთაკეტა ორ ტოტად უდის. „აღმოსავლეთის ტოტში მარტო შავი კალმახი იპოვება, დასავლეთისაში—თეთრი. თუ გადასხით,—შავი თეთრდება, თეთრი შავდებაო“, ამბობს ვახუშტი, და ეს დღესაც ესეა. მხოლოდ გვაკვირვებს უწინდელი დაწვრილებითი ცოდნა საქართველოს ყველა კუნჭულებისა. ვახუშტი აქვე ასახელებს თამარ დედოფლის მიერ მგზავრთათვის აშენებულს ფუნდუკს, რომლის კვალს მე ვერ მივაგენ... სიმრავლე ნანგრევთა კი აქ საოცარია. თვით დაბა ყარაბულახზედ ნანგრევებში შეხუხულებულან თათრები. იქვე ორ გერმანელს აუშენებიათ თავიანთი ყველის ქარხნები, ხოლო ძველის მოწმედ ორი თლილის ქვით ნაშენი ეკკლესია შენახულა, რომელზედაც წარწერანი-კი შეუბღალავთ. დაბა ყარაბულახის ქვემოდ მდ. ზურთაკეტა ვარდება საშინელ ხრამში და აქ უწინ სახელიც რადაბრანდად შეუცვლიათ, ეხლა კი ორივე სახელწოდება მივიწყებულა. მ. რადაბრანდის ნაპირები სავსეა ნანგრევებით, საყდრებით, წარწერებით, ციხე-გალავნებით, ნასოფლარებით. ნასოფლარებზედ გაღმა სამხრეთისკენ თათრები სდგანან, ერთის ნაოხარის გარდა, რომელზედაც დუხაბორები დასახლებულან, გამოღმა სამხრეთისკენ ხუთი სოფელი ქართველია და სამი ბერძენი...

დუხაბორების სოფელი ორმოშენია, ორმოშენს ქვემოდ არის სოფელი დარბაზი, რომელიც თათრებით არის დასახლებული, ხოლო უწინ აქ ყოფილა თამარ დედოფლის საზაფხულო დარბაზი. ეკკლესიები მთლად შენახულა. დარბაზის ნანგრევებსაც ჰნახავთ. მშვენიერი წყაროებია, ტბა და მშვენიერივე მისახედმოსახედი. დიდებულ დედოფალს ჰქონია გემო საზაფხულო აგარაკების არჩევისა...

ზურთაკეტას ნაპირებში მყოფ სიძველეთა შორის საოცარია ციხე—ქვაბი. ეს ქვაბი ფრიალო რადაბრანდის კლდეზეა. ციცაბოზედ საცალფეხო გზა გაფუჭებულია და შიგ შესვლა ციხე-გალავანში შეუძლებელია, მხოლოდ გარედგანვე მოსჩანს ციხეში მყოფი ეკკლესიაც. ეს ნანგრევები უნდა იყოს, ჩემის აზრით, ოდესმე განთქმულის ციხე ლალისა, რომელზედაც აი რას ამბობს ჩვენი მატიანე: „ლიპარიტ ორბელიანმა განიძრახა ბაგრატ მეოთხის დროს აღება თბილისისა; მალე ჯარით აიღო ბირთვისი, ორბისი, ფარცხისი; მიადგა თბილისს და აიღო იგიც. შიგ მყოფი ჯაფარი ტყვეთ გაპარა, მაგ-

*) იხ. „ივერია“ № 155.

ლულ-წამოსასვლელი და სეზონის ბილეთები.

⁂ პეტერბურგის უმაღლეს სასწავლებლებში შემდეგი თავისუფალი ვაკანსიებია. სამოქალაქო ინჟინერთა ინსტიტუტში—50 ვაკანსია, ტეხნოლოგიურს ინსტიტუტში—250, საელექტრო-ტეხნიკო ინსტიტუტში—60, გზათა საინჟინერო ინსტიტუტში—115, დედათა სამკურნალო ინსტიტუტში—150, სატყეო ინსტიტუტში—80, დედათა უმაღლესს კურსებზე—300, პეტერბურგის უნივერსიტეტის საიურიდიო და ფიზიკო-მატემატიკურს ფაკულტეტზედ—800, ისტორიულ-ფილოლოგიურსა და აღმოსავლეთ ენების ფაკულტეტებზედ—80.

⁂ როგორც შორაპნის მაზრის დაბა საჩხერიდგან გვატყობინებენ, წელს იქ პურის კარგი მოსავალი ყოფილა თურმე. კარგი პირი უჩანს აგრეთვე სიმინდსაც, ღვინის მოსავალიც გვარიანი იქმნება, თუ კარგი ამინდები დაუდგა.

⁂ როგორც დეპეშით იუწყებიან, მოსკოვში გარდაცვლილა ცნობილი რუსეთის პუბლიცისტი გრიგოლ ავეტის ძე ჯანშიევი.

⁂ ფინანსთა სამინისტრო ამ მოკლე ხანში შეუდგება იმ წესების შემუშავებას, რომელთა მიხედვითაც სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებებთან მოსამსახურეთა და მუშათათვის იქმნება დაარსებული საურთიერთო დამხმარებელი კასსები.

⁂ როგორც სატახტო გაზეთები იუწყებიან, გზათა სამინისტრო მგზავრების გაძარცვისაგან დაფარვის ღონისძიებათა შემუშავებას შესდგომია.

⁂ უწმიდესის სინოდის სტატისტიკურ განყოფილებასთან დაარსებული იქმნება მუზეუმის მაგვარი განყოფილება, სადაც შეკრებილ იქმნებიან რუქები სასულიერო აკადემიებისა, სემინარიებისა, სასულიერო და სამრევლო სკოლების მდგომარეობის გამომხატველნი, სტატისტიკურნი გამოცემანი, ცნობები სამრევლო სკოლების ზრდისა და განვითარების შესახებ, სასკოლო შენობათა გეგმები, სახელმძღვანელოები და სასწავლო ნივთები.

⁂ რკინის გზების სამმართველოში ამ ჟამად იმის შესახებ აღუძრავთ ლაპარაკი, რომ რკინის გზებზედ მოსამსახურეთ კარგის სამსახურისათვის ჯამაგირი მოუმატონ.

⁂ 19 ივლისიდგან ქალაქის ყველა თვით მმართველობათ ნება ეძლევათ, რომ ცოფიან ძაღლებისაგან დაკბენილებს მოწმობა მისცენ, რომლის მიხედვითაც მათა და მათს მხლებლებს რკინის გზის მმართველობამ შეღავათიანი ბილეთები უნდა მისცეს.

⁂ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის სამმართველოს მიერ აღძრული საგანი იმის შესახებ, რომ ტფილისის საბებიო ინსტიტუტთან დედათა საფერშლო სკოლა იქმნას გახსნილი, კავკასიის უმაღლესს მთავრობას პრინციპიალურად უკვე მოუწონებია.

⁂ როგორც შევიტყეთ, განმეორებითი გამოსაცდელი ეგზამენები ტფილისის სასულიერო სემინარიაში 28 დგან 31 აგვისტოს მოხდება.

⁂ ხართუხის პირველ-დაწყებით ქალაქის სკოლის გამგედ სასწავლებელთა კომიტეტს ა. ლ. ჩიქოვანი დაუნიშნია და დასამტკიცებლადაც წარუდგენია.

⁂ ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლისათვის მოუხსენებია, რომ პოლიციის მე-7 ნაწილში ავლაბარში, სომეხ-გრიგორიანთა შამხორის ეკკლესიას რამდენსამე ადგილას კედელი დაჰხეთქია და ამისათვის საჭიროა განსაკუთრებულმა ტეხნიკოსთა კომისსიამ გასინჯოს და შეამოწმოს რამდენად სანდოპი-ღაა იგიო.

⁂ რადგანაც მეტად უსუფთაოდ არის შენახული ის მოედნები და ადგილები, რომლებსაც ქალაქი აწმენდ-აგვევინებს, ამისათვის ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელს უთხოვნია ქალაქის მოურავის მოადგილესათვის, რომ ეს ადგილები ან პირდაპირ პოლიციას გადაეცეს დასაწმენდად, ან-და ნება მიეცეს პოლიციას სასტიკი თვალყური იქონიოს მუშებზედ.

⁂ როგორც შევიტყეთ, განზრახვა თურმე აქვთ სამრევლო-საეკკლესიო სკოლების იმ მასწავლებლებს, რომლებსაც სასულიერო სემინარია არა აქვთ დასრულებული, მაგრამ მასწავლებლობის წოდებაზედ ეგზამენი დაუჭერიათ და შემდეგ ხუთის წლის განმავლობაში მასწავლებლებად ყოფილან, მედავითნეობა პირდაპირ მისცენ ხოლმე.

⁂ განზრახვა თურმე აქვთ კავკასიის საცენზურო კომიტეტის შტატი გაფართოებულ იქმნას. ამ საქმის შესახებ მოხსენება უკვე შეუმუშავებიათ და ბეჭდვითის საქმის მთავარ-სამმართველოში წარუდგენიათ განსახილველად.

⁂ ახალის კანონით, სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადი ამიერ-კავკასიის გუბერნიებსა და თერგისა და ყუბანის ოლქზედ ასე გაუწერიათ: ტფილისის გუბერნიაზედ შეუწერიათ თითო დესეტინაზედ 5 კაპ. და სულ 1.510,492 დესეტინაზედ—75,525 მან.; ბაქოსაზედ—353,425 დესეტინაზედ—17,671 მ.; ქუთაისის გუბერნიისა, სოხუმისა, ბათუმისა და ართვინის ოლქზედ, 1.104,857 დესეტ.—55,243 მან.; ერევნის გუბერნიაზედ, 428,272 დესეტ.—21,414 მან.; განჯის გუბერნიაზედ, 985,752 დესეტ.—49,288 მან.; შავის ზღვის პირის გუბერნიაზედ, დესეტინაზედ, 3,2 კაპ. და სულ 3,439 მან.; დაღესტნის ოლქზედ, დესეტინაზედ 3,3 კაპ. და სულ 13, 244 მან. რაც შეეხება ყარსის ოლქს, სახელმწიფო საადგილ-მამულო გარდასახადი ჯერ არ გაუწერიათ, რადგანაც ცნობაში არ არის მოყვანილი, რამდენია საკუთარი ადგილები მთელს ოლქში.

⁂ სოფ. ნატოჩაო (სენაკის მაზრა). ამ ერთის კვირის წინად ამ სოფელში კისერამ იჩინა თავი. ეს სენი უფრო პატარა ბავშვებს ემტერება. ამ ავადმყოფობით ამ დღეებში ორი ბავშვი ერთად გარდაიცვალა ერთს ოჯახში; მესამე ბავშვიც უკანასკნელს დღეშია. ამავე სენით გარდაიცვალა ერთი ბავშვი მეორე ოჯახში. სასურველია, გასკანეც ჯერ არს, ექიმებმა იღონონ რამე, თორემ ადვილი შესაძლებელია სენი მთელს სოფელს მოედოს და დიდი ზარალი მისცეს, მით უფრო, რომ ზაფხულია და ავადმყოფობაც უფრო იოლად იკიდებს ფეხსა.

ეს მეათე დღეა, რაც განუწყვეტლივ ხშირი წვიმები მოდის. უამინდობამ ყანების მუშაობა მალიან შეაფერხა. თუმცა-ღა სიმინდებს თუ სხვა ნამუშავარს გვარიანი პირი უჩანს, მაგრამ თუ წვიმებმა არ უკლო, ყანები ვერ გამარგვლება და მოსავალი მოსცდება. ადესის ვაზს გვარიანად ასხია, თუ ახლა არა გაუჩნდა-რა მიზეზი.

⁂ ქ. თელავი. წელს აქაურმა აბრეშუმის მსყიდველმა ვაჭრებმა 14 მან. და 50 კაპეიკზედ მეტი არავის მისცეს ფუთ აბრეშუმის პარკში, მაშინ როდესაც საფეიქროში, რომელიც გაზაფხულიდგან არსებობს თელავში, ფუთ პარკში 16 მანეთს აძლევდნენ; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ თავგასული ვაჭრები თითქმის სახლიდგანა სტაცებდნენ გლეხებს აბრეშუმს და საფეიქროში აღარ უშვებდნენ. პირველი ესა და მეორე მიზეზი კიდევ ის არის, რომ ზოგმა არც კი იცის, თუ თელავში აბრეშუმის საფეიქრო არსებობს.

აბრეშუმის მოსავალს ყანებისაც ზედ მოჰყვა და აგერ-აგერ ათავებენ კიდეც მკას; ლეწვასაც უკვე შეუდგნენ; მოსავალი ჭირნახულისა უხვაა და საზოგადოდ გლეხები წრევანდელს წელს მალიან ემადლიერებიან, მაგრამ ვენახებისათვის-კი ვერაფერი მასარგებლებელი იყო ეს მეტის-მეტი ავი დარებიო. ვენახებს ვეღარ უწამლეს და ბევრგან სხვა-და-სხვა სნეულებამ იჩინა თავი და მტევანი სცვივა ვაზებს. სიმინდის მოსავალი კარგია.

⁂ გუბერნატორებმა შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკურნალო დეპარტამენტის ცირკულიარი მიიღეს. ამ ცირკულიარით დეპარტამენტი სთხოვს გუბერნატორებს, რომ ამიერიდგან კბილის ექიმებს აღუკრძალონ შეგირდების აყვანა დანტისტობისათვის მოსამზადებლად.

## წერილი ფოთიდგან

—

კიდევ ერთი ჭეშმარიტი ქართველის გვამი მოგვიტანა გემმა შავი ზღვით. კიდევ მოაკლდა ჩვენს დაკნინებულს მწერლობას ერთი ენაწყლიანი და მახვილი კალმის მპყრობელი ახალგაზდა მწერალი, რომელსაც თვისის ნაწერებითა და მახვილგონიერებით სავსე ფელეტონებით არა ერთხელ გაუტაცნია ჟურნალ-გაზეთების მოტრფიალე მკითხველი. ასეთი იყო ილია ბახტაძე, მწერლობაში ხონელად ცნობილი, რომლის გვამიც შაბათს, 15 მკათათვეს, მოასვენეს სოხუმიდგან ფოთში. განსვენებულმა აპრილის უკანასკნელს რიცხვებში ფოთში გამოიარა. მის ღონე-მიხდილსა და შავს თვალებში ნათლად იხატებოდა, რომ საზოგადო სარბიელზედ დაღლილიყო. იგი სოხუმის ბუნებაში დასვენებას მოელოდა, მაგრამ ნაცვლად იმისა, რომ სოხუმის ჰავა ჰრგებოდა და უკან ღონე შემოკრებილი დაბრუნებულიყო, სული დალია და სამშობლოს მხოლოდ უსიცოცხლო, ცივი გვამი-ღა დაუბრუნდა. ცხედარს, რომელსაც სოხუმელ ქართველების გვირგვინები ამკობდა, თან ახლდნენ ძმით მოსილნი და-ძმანი და მეგობარნი. გემიდგან სამის ნახევარზედ ჩამოასვენეს ფოთის ნავთ-სადგურში, სადაც მას საზოგადოება მიეგება. აქ ცხედარის კუბოს დაადვეს სამი გვირგვინი: ერთი ბ-ნმა ნ. ნიკოლაძემ, ზედ-წარწერით „თანამშრომელს“, მეორეზე ეწერა: „ნიჭიერ მწერალს“ ილია ხონელს ფოთის ინტელიგენციისაგან, მესამეზედ ამავე წარწერით ვაჭრებისაგან. ნავთ-სადგურიდგან მიცვალებულის გვამი რკინის გზის სადგურზედ მიასვენეს ხელით. თავში მიჰქონდათ ჯვარი, ხატი, ეკკლესიის დროშები, შემდეგ მიდიოდნენ ისინი, ვისაც მის პატივსაცემლად თავი მოეყარა. გზაში კუბოს მრავალი მუშა ხალხი შემოეგება, რომელთაც მაშინვე კუბოს მოჰკიდეს ხელი. საათის ოთხზედ დაასვენეს რკინის გზის სადგურზედ და იქ უკანასკნელად პატივი ჰსცეს მისს გვამსა და პანაშვიდი გარდაიხადეს. საღამოს მატარებლით ნათესავებმა კუბო სამტრედიაში წაიღეს, საიდგანაც შემდეგ დაბა ხონში წაასვენებენ დასაკრძალავად. პანაშვიდის გარდახდის შემდეგ ბ-ნმა რომანოზ ფანცხავამ გრძნობით სავსე სიტყვა წარმოსთქვა

---

რამ მტრის ენით გადაბირებულმან მეფემ ლიპარიტს უკან გააყვანინა ჯარი და ჯაფარი ისევ თბილისში დააბრუნა. ამაზედ გაუდგა ლიპარიტი მეფეს და იწყო დაუღალავად მეფის წინააღმდეგობა, რომელიც უფრო თრიალეთსა და მის მიდამოებში სწარმოებდა. აი ამ დროს შემოესია საქართველოს სულთანი არპასლანი, რომელმაც მოაოხრა თრიალეთი, ჩაიარა ხრამი და შემუსრა ძრიელი ციხე ლალისაო“.

ციხე-ქვაბ ქვემოდ მოსჩანს მ. რადანბრანდის ქარაფზედ ნანგრევები ს. ეგრისისა, რომლის მებატონე ლარაძე, ლუარსაბ მეფის მიერ სამეგრელოდგან მიღებული, შესანიშნავ საქართველოს აზნაურთა გვარს ეკუთვნის. პეტრე ლარაძე ოსტატი ელჩი და დამწერი „დილარგიანისა“ საკმაოდ ცნობილია ჩვენში. ეგრისის ნანგრევებს დღესაც მათი სასახლე შერჩენია. სასახლის გარეშემო სამი თლილის ქვის ეკკლესიაც შენახულა. ეგრისის ცოტა მოშორებით კვირიკეს მთის ძირებშია გამწკრივებული ხუთი ქართველისა და სამი ბერძნის სოფელი, სავსეინ ეკკლესიებითა და ნანგრევებით. ჯერ მარტო ოდესმე პატარა ქალაქად მყოფ სოფელ დიდ-გომარეთში 8 ეკკლესიაა ძველთაგან ნაშენი. ერთი მათგანი თამარ დედოფლის აშენებულია და აქვს წარწერა, ორი ლიპარიტ ორბელიანისა. ყველაზედ ხნიანად ითვლება წმ. ილიას ეკკლესია, რომლის წარწერა მეფე ბაგრატ IV დროს ეკუთვნის. საფლავის ქვები და ნანგრევები სავსენია წარწერებით, რომელნიც მე-XII საუკუნოების ცხოვრებასა და ამ მხარის კეთილ-დღეობას ჰღაღადებს. სოფლებ ზემოთ მშვენიერი მთის-წყაროს ხევის აბურცებულ ნაპირზედ შეზღუდული მაგარის კედლებით და შიგ უშველებელი ქვიტკირის სახლით სდგას ძველი ქარვასლა. ამ შენობის გვერდზედ კოხტა ვაკეზედ უხსოვარ დროიდგან ყოფილა გზა-ტკეცილი, მომავალი აზიის მდიდარ სავაჭრო ქალაქებიდგან ვიდრე შავ-ზღვის ნაპირამდე. ამ გზის პირებზედ ყოფილა დაშენებული მგზავრთათვის ქარვასლანი. აი ეს ქარვასლა-ღა შერჩენილა დღევანდლამდე და მოგვითხრობს წარსულის დროის მოქალაქეობრივს ცხოვრებას. გვენება, რომ ეს ნაშთი ძველ ძნელეთისა უყურადღებოდ ინგრევა.

დაბა ყარაბულაღ ზევიდგან არის მუსა ყალას ციხე, აშენებული საკვირველ მთაზედ, რომლის კონწოხზედ, შუაგულ ციხისა, ამოჩუხჩუხებს მშვენიერი წყარო. ეხლა ციხე მინგრეულ-მონგრეულია, ვახუშტის დროს-კი მთელი იყო თურმე. წყაროც უწესურად არის. ახალი პატრონი ამ ისტორიულ ნაშთისა ბ-ნი ნ. ი. კეზელი უპირებს ამ ალაგს გამშვენიერებასა და წყაროს შეკეთებას. როცა ამ ციხის ნანგრევებს და მის სანგლებს ათვალიერებ, პირდაპირ უმზერ მაღლობ თრიალეთის ფერდობებს და ჰგრძნობ, რომ იქიდგან დაწყებულსა და ამ სიმაღლეზედ ამოსულს წყაროს ძარღვს იმ ფერდობებიდგან შადრევნის კანონის მგზავსი ძალა და მანქანა აწარმოებს...

ხრამში მყოფი ისტორიული ნაშთნი.

ცძნის ხიდგან საშინელ ხრამში ჩავარდნილ მდინარე ქციას რო დავყვეთ, პირველადვე მივადგებით ნანგრევებს დაბა ახალქალაქისას, რომელზედაც ეხლა სომხის სოფელი ტაშიბაშია გაშენებული. სიტყვა ტაშიბაში თათრულია და ასე ითარგმნება—ქვის-თავიო. სად ახალქალაქი, სად ტაშიბაში?! მრავალ სიძველეთაგან სომხებს დარჩენიათ მშვენიერის თლილის ქვით ნაშენი ეკკლესია, რომელიც გადასცქერის ქციას იქ, სადაც გაღმიდგან ქციაში ჩამოჰქუხს წყალ ვარდნილი ხარების ხევისა...

ტაშიბაშს ქვემოდ ვარდის-უბანია ვახუშტის თქმით. ეხლა ნანგრევებზედ მშვენიერი გერმანელთ ახალშენია, სახელად ალექსანდროგოლფი, რომელთა საზოგადო ყველის ქარხანა ყველაზედ საუკეთესო „კავკასია შვეიცარიულ“ ყველს იძლევა. სოფლის ახლო-მახლო ნანგრევების ქვები სახლებად უქცევიათ, მოშორებით კი ერთი უბანი ძველის ვარდის უბნისა შენახულა ეკკლესიით და მის გარეშემო საფლავებით, რომლებზედაც საოცრად ნახატი-ნათალი თლილის ქვებია ნაწყობი. ვარდის-უბნის ბოლოში ქციას კარწახის ხევი ერთვის და აქ ხრამი ისე ღრმავდება, რომ მაღლა ნაპირიდგან ძირამდე 3 და ოთხი ვერსტი ტყით დაფენილი ფერდობები უნდა იანგარიშო. აი ერთ ამ ფერდობზედ ვარდის-უბნის დასწვრივ შენახულა ფრიალოზედ მოდი-ნახის ციხე, შიგ ეკკლესიით. ციხე მეტად მიუვალ ალაგასაა და მეტად დიდებულად დაჰყურებს ძირს აცოფებულს ქციას... მოდი-ნახეს ციხეს ქვემოდ ქციას ემატება ხევი კლდე-ისარისა. ამ ხევზედ შიგ ხრამში ნანგრევებ შორის შერჩენილა ქართველების სოფელი კლდე-ისარი, რომელიც შესანიშნავი დაბა იყო და სიმაგრე ჩვენის ძველის დროისა. ეხლაც სავსეა სოფლის მიდამო ეკკლესიებითა და ციხეებით. აქვე დღევანდლამდე მშვენივრად შენახულა ქვაბი კლდისა, რომელიც ზამთარში აბანოსავით თბილია თითონაც და შიგ მოჩუხჩუხე ანკარასავით წმინდა წყაროც, ხოლო ზაფხულში, რამწამს ხუთიოდე საფეხურს ჩახვალ ძველის-ძველ ქვიტკირის კიბისას, იგრძნობ სასტიკ სიცივეს და წყაროს ზროლის ყინულებში გახვეულს დაინახავ. უწინ მეფეებს აქედგან უზიდავდნენ თურმე ყინულს.

როცა მძვინვარე ლანგ თემური აოხრებდა ჩვენს ქვეყანას, თითონ

ეროვნული ბიბლიოთეკა

და იქ დამსწრე საზოგადოებას მრავალი ცრემლი დააფრქვევინა.

ი. კოხრეიძე

# უცხოეთი

**ჩინეთი.** ერთ ნემეცურ გაზეთში დაბეჭდილია ჩინეთის იმპერატორის ეპისტოლე, გერმანიის იმპერატორის მიმართ გაგზავნილი. ეს ეპისტოლე შეკინიდგან გენერალს იანშიკაის შანდუნის გუბერნატორისათვის გადაუცია, ხოლო ამას გერმანიის საელჩოსათვის გაუგზავნია. აი რა არის ნათქვამი ეპისტოლეში: „ჩინეთის იმპერატორი სალამს უძღვნის გერმანიის იმპერატორს. ჩინეთი და გერმანია ყოველთვის მშვიდობიან განწყობილებაში იყვნენ. ორივე ეს სახელმწიფო ნდობით ეპყრობოდნენ ერთმანეთს, ჩვენ და სამწუხაროდ, ამას წინად ჩინეთის მცხოვრებთა და ჩინელ ქრისტიანეთა შორის შეტაკებანი მოხდა, რომლის დროსაც სრულიად მოულოდნელად მოკლულ იქმნა გერმანიის ელჩი ბარონი კეტტლერი, რამაც მეტად დაგვაღონა და დაგვამწარა. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ დამნაშავეებს სასტიკად დავსჯით. გამოძიება უკვე დაწყობილი იყო, როდესაც უეცრად სახელმწიფოებს ეჭვი შეეპარათ, ვითომ ჩვენი მთავრობა თანაუგრძნობდეს უცხო-ქვეყნელთა წინააღმდეგ მოძრაობას. შედეგად ამას ტყვეს აღება მოჰყვა. შემდეგ ბრძოლა დაიწყო და უბედურება გაორკეცდა. ძნელი წარმოსადგენია ის, თუ რა მდგომარეობაშია ეხლა ჩინეთი. უფრო ამისაგან მთავრობა დიდს გაჭირვებაშია. ამიტომ მოგმართავთ, თქვენო უდიდებულესობავ, და გთხოვთ ამ გაჭირვების დროს დახმარება აღმოგვიჩინოთ. გთხოვთ აღადგინოთ წინანდელი მეგობრული დამოკიდებულება და გვიშველოთ წესიერების დასამყარებლად. იმედი გვაქვს, რომ თქვენი უდიდებულესობა მასუხს გვაღირსებს“.

— ტიან-ძინიდგან „Daily News“-ს და სხვა გაზეთებს ატყობინებენ: „გულამამღვრევი და საზიზღარი სურათები მოხდა სახელმწიფოთა შეერთებულ ჯარის მიერ ტიან-ძინის აღებისა და ჩინელების განდევნის შემდეგ. როგორც ქორები, ისე დაეცნენ ჩინეთში მყოფი უცხო-ქვეყნელნი და ჯარის-კაცნი ტიან-ძინის ჩინელთა უბანს და შეუდგნენ იმის გაძარცვას. დაიტაცეს ყველაფერი, რაც-კი რამ მოიპოვებოდა. ქუჩები და სახლები სავსე იყო ყველა ერის წარმომადგენლებით. დაიტაცეს მეტადრე ძვირფასი ნივთები, ფული, საქონელი, ფარჩა, აბრეშუმი, ოქრო, ვერცხლი და სხვა. უცხო-ქვეყნელთა უბნიდგან დიდა ადრიან გაეშურნენ ამ საქმისათვის, ზოგი ცხენით მიდიოდა, ზოგი ეტლით, ზოგს კიდევ მუშები მიჰყავდა; ხოლო პატარა ხანს უკან ეს აოდენა ხალხი, სიმდიდრით დატვირთული უკანვე მოდიოდა. მარტო იაპონელი და ამერიკელი ათვიცრება უშლიდნენ ამ საერთო მარცვა-გლეჯას, მაგრამ ისინი რას გააწყობდნენ. ყველაზედ ცუდად ჯარის კაცები იქცეოდნენ. ამ საზიზღარ საქმეში მარტო იაპონელნი არ იღებდნენ მონაწილეობას. ჩინელებს ტიან-ძინში ორი ხაზინა ჰქონდათ, სადაც 2 მილიონ ტაელამდე ინახებოდა. ეს ამოდენა ფული სულ დაიტაცეს და წაიღეს. გამოძიებას შეუდგნენ და 50 ათასი ტაელი უკვე აღმოაჩინეს ევროპიელთა უბანში. ერთის სიტყვით, ისეთი საქმე მოხდა ტიან ძინში, რომელიც სამუდამოდ ჩირქს მოსცხებს ევროპის ცივილიზაციას“.

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

„Times“-ში დაბეჭდილია ნეკროლოგი ამ გაზეთის თანამშრომლის ექიმის მორისსონისა, რომელიც, როგორც ჰფიქრობენ, პეკინში მოუკლავთ ჩინელებს ამ არეულობის დროს. „Times“-ის კორრესპონდენტად მორისსონი 1897 წლიდგან გახდა. თავისის კორრესპონდენციებით ამ კაცმა დიდი სახელი მოიპოვა მთელს ინგლისში.

მორისსონი ავსტრალიელი იყო, იქ დაიბადა და ერთ-ერთ იქაურს უნივერსიტეტში მიიღო სამკურნალო განათლება. მორისსონი ცნობილი იყო როგორც დაუღალავი მოგზაური. პირველ დიდ მოგზაურობას მორისსონი ჯერ ისევ სტუდენტობის დროს შეუდგა: მოიარა მან სამხრეთ ავსტრალიის უდაბური ადგილები. შემდეგ 1882 წელს უბრალო ხლვაოსნად შევიდა ერთ გემზედ და სამხრეთ კუნძულებისაკენ გაემგზავრა. ამ მოგზაურობის აღწერა იბეჭდებოდა ავსტრალიურ გაზეთ „Argus“-ში. ამ წერილებმა მაშინ როგორც ავსტრალიაში, აგრეთვე მთელს ინგლისში დიდი ლაპარაკი გამოიწვია. იმ დროს სამხრეთ კუნძულებში ჯერ კიდევ ყოფილა მონებით ვაჭრობა და მორისსონმა ეს ამბავი მთელ ქვეყანას აუწყა. მონებ[illegible]ენდის შაქრის პლანტაციებისთვის [illegible]ადულობდნენ თურმე. შემდეგ მორისსონი ახალ-გვინეიაში წავიდა სამგზავროდ, იქ მორისსონმა პირველად გაიცნო ჩინელები. მეორე წელს მორისსონმა ფეხით მთელი ავსტრალია მოიარა. ამ მგზავრობას იგი 123 დღე მოუნდა. მოგზაურს თან დაჰქონდა პატარა მანქანა საჭმლის სახარშავად და საჭმელს ყოველთვის თვით ამზადებდა. მელბურნში დაბრუნებისას მორისსონს ერთის ექსპედიციის უფროსობა ჩააბარეს. ექსპედიცია ახალ-გვინეიაში წავიდა, მაგრამ კინაღამ ეს მგზავრობა მორისსონს სიცოცხლედ დაუჯდა. ადგილობრივი მცხოვრებნი თავს დაესხნენ ექსპედიციას და მორისსონი ორსადგილას დასჭრეს ხის შუბით. წვერი ამ შუბისა ტანში ჩარჩა მორისსონს და ედინბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ძლივს ამოუღო.

შემდეგ მორისსონი იამაიკაში წავიდა, იქიდგან ესპანიაში გადავიდა, სადაც ერთი წელიწადი დაჰყო. რამდენისამე ხანს მოროკოში იყო შერიფის ლეიბ-მედიკად. ერთი წელიწადი ამის შემდეგ პარიჟში დაჰყო, სადაც შარკოს ლექციებს ისმენდა, და 1890 წელს უკანვე ავსტრალიაში დაბრუნდა. ორი წელიწადი ბალლარატში სამკურნალოს განაგებდა და ამ ორ წელიწადს ისე მოსწყინდა ერთ ადგილას ჯდომა, რომ ხელ-ახლა მგზავრობას შეუდგა და მოიარა ჩინეთი, იაპონია და ფილიპინის კუნძულები. სხვათა შორის მორისსონმა შანხაიდგან ფეხით გაიარა მთელი ჩინეთი, ვიდრე ბირმანის საზღვრამდე. როგორც ავსტრალიაში მოგზაურობის დროს, აქაც მორისსონი მარტოდ-მარტო იყო და სრულიად უიარაღო. ამ მგზავრობამ სწორედ ასი დღე გასტანა. დაეხარჯა გზაში მორისსონს სულ 180 მანეთი. ნაკლები დამეხარჯებოდა, ამბობდა ხოლმე მორისსონი, მაგრამ მე თვით არ ვუფრთხილდებოდი ფულსაო. ამ მგზავრობის დროს მორისსონს მუდამ ჩინური ტანისამოსი ეცვა. აღწერა ამ მოგზაურობისა მორისსონმა ცალკე წიგნად გამოსცა ამ სათაურით „ავსტრალიელი ჩინეთში.“

შემდეგ მორისსონმა რამდენსამე ხანს ინგლისში დაჰყო, საიდგანაც ერთმა გაზეთმა სიამში გაჰგზავნა თავისს კორრესპონდენტად, რადგანაც ამ დროს იქ საფრანგეთსა და ინგლისს შორის რაღაც უთანხმოება მოხდა. 1896 წელს მორისსონმა მოიარა სიამი და ჩინეთში ავიდა. იუნან-ფუში შავი ჭირი შეხვდა; ზედ ამ უბედურებას ისიც დაერთო, რომ მორისსონს თავს დაესხნენ ყაჩაღები და რაც რამ გააჩნდა, სულ წაართვეს. წაართვეს წამლებიც-კი. მკურნალმა აღარ იცოდა როგორ განეკურნა უწამლოდ თავისი თავი შავის ჭირისაგან. ამიტომ უბრალო საშუალებას მიჰმართა. ოფლის მოსახდენად გაახურა მაგრა ჩინური ღუმელი და ზედ დააწვა. ღუმელი იმდენად იყო გახურებული, რომ მორისსონს ბევრგან კანიც კი დაეწვა. მაგრამ, სამაგიეროდ, ამ მკურნალობას კარგი შედეგი მოჰყვა. შავის ჭირისაგან მორისსონი სრულიად განიკურნა.

1897 წლიდგან მორისსონი პეკინში იყო „Times“-ის კორრესპონდენტად. თუ მართალია მორისსონის მოკვლის ამბავი, ეს მეორე კორესპონდენტი იქმნება ამ გაზეთისა, რომელმაც მოწამებრივ დალია სული ჩინეთში: პირველი კორრესპონდენტი, ბოვლბი, 1860 წლის არეულობის დროს მოჰკლეს ჩინელებმა.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

18 ივლისი

**პეტერბურგი.** გროდეკოვი დეპეშით იუწყება ხაბაროვსკიდგან: „ხარბინიდგან ლახასუსუში მოსულმა გემმა, რომელმაც თან ორი დიდი საქონლის გემი მოიყვანი, განაცხადა, რომ ათას ხუთასი კაცი მომყავსო და ამათგან 79 ავადმყოფი ხარბინის საავადმყოფოდგან წამოვიყვანე, რომელთაგანაც 40 დაჭრილია“.

„14 ივლისს ლიანდაგის გაყვანა დაიწყეს სად. მუსერიდგანა“.

„13 ივლისს გენერალი ორლოვი დილით ბზაგიტუისთან საზღვარს გადავიდა. კრილოვის ჯარის მფარველობას ქვეშ რკინის გზის პირველს ნაწილში ხელ-ახლად დაიწყეს მუშაობა. 15 ივლისს ჩინელებმა ბლაგოვეშჩენსკს კვლავ ზარბაზნები და თოფები დაუშინეს. დღის 12 საათზედ სროლა შესწყდა და საღამოს 7 საათამდე მხოლოდ ათასში ერთხელ-ღა ისმოდა სროლა. ჩვენი არტილერია პასუხს აძლევდა. ჩვენ ზარალი არა მოგვსვლია რა. მომშველი ჯარი ბლაგოვეშჩენსკს სწრაფად უახლოვდება. ერთი რაზმთაგანი 15 ივლისს ასის ვერსის მანძილზედ იდგა. ეკატერინო-ნიკოლსკის მახლობლად მდგომარე ჩინეთის ერთს რაზმს მდინარე ამურის დივიზიონის ყაზახები და პოლკოვნიკას ერვანოვის რამდენიმე როტა უცბად თავს დაესხნენ. ეს ჯარები უკან იყვნენ ჩამორჩენილნი გემის დაზიანებისა გამო; ჩინელებს ოთხი ზარბაზანი და თოფები წაართვეს. ჩვენ არავითარი ზარალი არ მოგვსვლია. შემდეგ ჯარმა პელიკარპეს პატარა მინდვრის სიმაგრე დაანგრია.

**ლონდონი.** აქ მყოფმა ჩინეთის ელჩმა დეპეშა მიიღო, რომ ლიხუნგჩანგმა და მეფის სხვა მოადგილეებმა და აგრეთვე გუბერნატორებმა თხოვნით მიჰმართეს იმპერატორს, რომ უცხო-სახელმწიფოთა წარმომადგენელნი დაუყოვნებლივ ტიან-ძინში იქმნენ გადმოყვანილნი, ან და ნება მიეცეთ თავისს სახელმწიფოებთან მიწერ-მოწერა დაუბრკოლებრივ იქონიონ. იმპერატორის პასუხი მიღებისათანავე გაეგზავნება ყველა ელჩებსაო.

**ლონდონი.** კონტრ-ადმირალის ბრიუსისაგან მაკდონალდის დეპეშა მიიღო საადმირალომ, რომ ინგლისის საელჩოს პეკინში 7 ივნისიდგან 3 ივლისამდე ჩინეთის ჯარი სულ ერთავად ზარბაზნებსა და თოფს ესროდა, მაგრამ 3 ივლისიდგან სროლა შესწყვიტეს, მაგრამ ჩინეთის ჯარი მაინც სიმაგრეს გარს ახვევიაო; ქალები და ბავშვები საელჩოში არიან; დღემდის მოკლული 12-ია და ერთი ამდენიც დაჭრილი წევს საავადმყოფოში.

**კობურგი.** გერცოგი ალფრედ საქსენ-კობურგ-გოტისა როზენაუში გარდაიცვალა გუშინ. მიზეზი გულის სიდამბლეა.

**ზეერუსტი.** ხმა დადის, რომ ბურები ზეერუსტისაკენ მიდიანო. სახელმწიფო საგძალი მთლად ბანაკშია გადატანილი, რომელსაც ახლა ჰმართავენ საჩქაროდ.

**პეტერბურგი.** კულჯაში მყოფი კონსული იუწყება 14 ივლისიდგან, რომ 30 ივნისს ცზიან-ცზიუნმა იმპერატრიცასაგან (დედისგან) ბრძანება მიიღო, — რუსები სულ ამოჟლიტეთო. ჩინელები უკვე ემზადებოდნენ ამისათვის, მაგრამ ჩვენის ასეულ ჯარების მოსვლამ შეუშალა ხელი. გარეგნობით ახლა მშვიდობიანობაა. ჩვენმა ყაზახებმა შეჰნიშნეს, რომ კულჯაში რაღაც გაფაციცებითა ჰკრებენ ხალხს, მაგრამ ჩვენი ვაჭრები და მათი დატვირთული ურმები თავისუფლად მიდი-მოდიან სუიდუნში.

---

მანგლისს სდგებოდა, ხოლო ჯარს კლდე-ისარში აზამთრებდა ხოლმე. კლდე-ისარსა და მანგლისს შუა მარტო ბენდერის მთაა გადასავალი.

კლდეისრის პირდაპირ გაღმიდგან ხრამს დასცქერის მონასტერი, უწინ ლიპარიტის უბნად წოდებული, მხოლოდ ეხლა თოდორ-ალის ჭალას ეძახიან, რადგან ვიღაც თოდორა ბერძენს აქ თუთუნი მოჰყავს და თვით მშვენიერი დიდ-შენი ეკკლესიაც შეუბღალავს: კარებში მყოფი წარწერილი ქვა ჩამოულია და ძირს გადუკდია, ერთს სვეტზედ წარწერილი ქვაც ფურნის ძირად გაუკეთებია... უწინდელ ღვთის მოსავ-ბერკი ჟონგლის ხეებიც კი ბარიდგან მოუტანიათ და აქ დაურგავთ. მშვენიერი ნაბაღარი ეხლა გაველურებულ ხეხილებითაა სავსე...

ამას ქვემოდ ერთვის ხრამს ხევი ძველის გომარეთისა, რომელზედაც ეხლა პატარა სოფელი კაკლიანია, გარეშემო მრავალი ნანგრევებია. შიგ შუა სოფელში მშვენიერი თლილი ქვის ეკკლესია და ზედ ეკკლესიის კედელთან უშველებელი მუხაა, რომელიც ათასის წლისა უნდა იყოს. მის შტოებს მთლად დაუჩრდილავს ეკკლესიაცა და მისი ეზოც, სავსე საფლავის ქვებით. კარებზედ დიდქვაზედ მყ ფი წარწერა ვიღაც ბარბაროსს წერაქვით წაუშლია...

ამას ქვემოდ ხრამში დაბა ქციაა, რომელზედაც ვახუშტი ამბობს: „აქ არის მონასტერი კეთილ-შენი აწ ხუცის ამარაო... სადღაა ხუცი, თვით ძვირფასი თლილი და ფერადი ქვით ნაშენი ეკკლესია ინგრევა, თუმცა ზედ წარწერა ამას ამბობს: „ესა სოფელი ქციაო, მტერმან ვერ დააქციაო“ (?!!). ქციის პირდაპირ ხრამის გაღმა მოსჩანს ტყეებ შორის დიდი მინდვრიანი, რომელსაც ეხლა ალთალაფას (თეთრი-ქვაო) ეძახიან და ზედ ნასოფლარებია. ორი კოხტა ეკკლესია მთლად შენახულა; მხოლოდ ნამდვილი სახელ-წოდება ხალხში აღარ დაშთენილა. ზედ ეს ორი წელიწადია ოსები დასახლდნენ. — მისდევ აქედგან ხრამის კალაპოტს და გაოცებული ათვალიერებ შენს გარშემო საშინელის სიმაღლის ფერდობებს, ტყით დაფარულს, რომლის მაღლა უტყეო თრიალეთის მთა-ვაკეა. აქ კი ხრამის უფსკრულში ვაზი ჩახვევია დახავსებულ ხეებს და უხვად გამოიყურება მტევნები. ბერძნული თხილი, კაკალი და სხვა ხილი ეხლა გაველურებულა და მაინც უხვობით გაგიჟებულა და ბევრგან დაუჩრდილავს ციხე-კოშკა და ეკკლესიათა ნანგრევები!..

დასცდებით ცოტას და აგერ ფიტარეთის საოცარი ტაძარიც! ამ ხრამში და ეს მშვენიერება?! მაგრამ თვით ალაგიც თავის სიმშვენიერით გაოცებთ... „ხის წინამძღვარიო“, ამბობს ვახუშტი. მაგრამ ეხლა?!! „data sunt ipse quoque fata sepulchris“, ე. ი. „თვით სამარეთა[illegible]-კი ჰქონიათ თავისი ბედ-ბედიო!“ ტყუილად-კი არ ამბობს იუბენალი. ეს ტაძარი ყოფილა საგვარეულო სამარხი ბრწყინვალე ორბელიანთ გვარისა, ეხლა გაუყიდნიათ მამა-პაპათა საძვალე, საუკუნოდ განსასვენებელი და ჩაჰვარდნია ხელთ თაიროვს... ვიღაცის ულმობელ ხელს ამოუმსხვრევია ძვირფას მარმარილოზედ საფლავთ ზედ წარწერანი, თვით საფლავნიც უჩიჩქნიათ... მაგრამ რა საფლავი-ღა გაგონდება, როდესაც დიდებულის ტაძრის საოცარ ხელოვნებითა სტკბები!!. სამ კოხტა სვეტზედ მსუბუქად და ჰაეროვნად ატანილია იგი ზეცას მშვენიერის თლილის ქვით, რომელიც გარედგან, საძირკვლიდგან დაწყებული უშველებელ გუმბათის ქუდამდე ისეა შეჩუქურთმებული და ქანდაკებით ნახატი, თითქო ქაღალდზედ კალმის წვერით უხატნიათო; მთელი ტაძარი ასეა შეჩუქურთმებული და დამტევნებული... არ შევხვედრილვარ ამაზედ ძვირფასს ხელოვნებას, თუმცა მთელი საქართველო დამივლია! გუმბათზედ სარკმლებ შუა ქანდაკებით გამოყვანილია სურათები. ერთს ამათგანს ხალხი სახელოვან ყაშყა სირდალ ორბელიანად სთვლის, რომელსაც გარდმოცემა ვაჟკაცობასა და მამულიშვილობას უქებს. მტერი ბევრჯელ ყოფილა ამ ტაძართან, მაგრამ ვერ შეუხია ხელი დიდებულ ხელოვნებისთვის. ქათალიკოზი ანტონი ასახელებს იობს წინამძღვრად ფიტარეთისას 1731 წელში. აქებს იობს, როგორც გამოჩენილ მკითხველს და მქადაგებელს; ამის დროს გაუქმებულა ეს ტაძარი და იობი ჩამოსულა ტფილისში, სადაც გარდაცვლილა და ასაფლავია სიონის ტაძარში. ფიტარეთის ტაძრის შესახებ მთელი ტომები დაიწერება და რაც უნდა ქვად ქმნილი გულის ადამიანი იყოს, მაინც დიდად დაფიქრდება მის აწინდელ მდგომარეობის გამო...

დავყევი აქედგან ხრამს ფოცხვერანის ხევამდე, მაგრამ გონებას არა ჰშორდებოდა ღრმა საიდუმლოებით მოცულ გარემოებაში მდგარი სიწმიდე ფიტარეთისა... მივიწყება და მიდუმება სიკვდილია, მაგრამ ყოველ ჟამსა და ხანში სიკვდილი ხშირად ყოფილა ნავთ-საყუდელი დიდებისაც! ან რა არის სიკვდილი? განა თვით ქვეყანა-დინია უსიკვდილოა?! „სიკვდილი ჰპადავს სიცოცხლეს, სიცოცხლე აქრობს სიკვდილსაო“! აქ გეგებება წინ ხვეული წარსულის ცხოვრებისაცა და სიკვდილისაც, რომელნიც, ერთმანეთზედ შეგრეხილნი, მაინც სიცოცხლედ ითვლებიან — წარსულ ისტორიულ ცხოვრებად.

აგერ ფოცხვერანის შესართავს ქვემოდ ქციას პირზედ გამოსჩანს ციხე ხულუთისა! მის-ქვემო სამხრეთით ციხე ბერის ქალისა, ლოდით შეზღუდული და მაგარი...

მღ. ზაქარია გულისაშვილი

(შემდეგი იქნება).

ში. მტრობა და ხალხის გამწარება ჯერ არსად იჩენს თავს.

11 ივლისს გენერალ სახაროვის რაზმი მოვიდა ბაიანტის ციხესთან, საიდგანაც დიდს წინააღმდეგობას მოელოდნენ. დაზვერვამ ციხისამ დაარწმუნა, რომ იქ ჩინეთის ჯარი იყო, რიცხვით 2,000 მდე. საღამოზედ სახაროვს სთხოვეს, რომ ნება მოგვეცი პირობის დამდებნი შეუკაცნი გამოგვეგზავნოთო; გენერალი დასთანხმდა, მაგრამ არავინ გამოუგზავნიათ. იმათ მისაგებებლად დილით, 12 ივლისს, სახაროვმა გასწია ციხისაკენ. წინ ყაზახები მიუძღოდნენ. ამ ყაზახებს ჩინელებმა სროლა დაუწყეს. მაშინ სახაროვის რაზმის ქვეითა ჯარმა და არტილერიამაც სროლა დაუწყო როგორც ხმელეთიდგან, ისე მდინარიდგან; ორის საათის სროლის შემდეგ საქმე იმითი დაბოლოვდა, რომ ჩინელები უწეს-რიგოდ გაიქცნენ ბანაკიდგან, ციხე-კი ადრევე ჰქონდათ დაცლილი. ჩინელები დიდად არიან დაზარალებულნი. ციხეში იპოვეს კრუპპის ხუთი გრძელი ზარბაზანი, ციხეზედ დასადები, დიდ-ძალი ყუმბარები, ოთხი სხვა ზარბაზანი, სასროლი წამალი და სხვა მოწყობილობა ზარბაზნის სასროლად.

ადმირალი ალექსეევი იუწყება, რომ ჩვენ მიერ დაპყრობილ ჩინეთის ბატარეებზედ და თოფხანებში 300 ზარბაზანი ვიპოვეთ, მრავალი ყუმბარა და დიდ ძალი თოფის წამალიო.

კაშკარის ელჩი იუწყება 7 ივლისის თარიღით, რომ კაშკარის მკვიდრთ აღელვება ემჩნევათ ჩინელების წინააღმდეგაო.

**ლონდონი.** პალატა. ბროდრიკმა შეამოწმა, რომ გემის უფროსებმა 3 ივლისს გარდასწყვიტეს ტაკუ-ტიანძინის რკინის გზა რუსეთის ჯარს მისცენ დასაცველადაო. ინგლისმა აცნობა რუსეთის მთავრობას, რომ ასეთი გარდაწყვეტილება საუკეთესოდ მისაჩნევია და ინგლისი არავითარ წინააღმდეგობის განცხადებას არ არის მოწადინებული, ხოლო ეჭვი არ უნდა, რომ რკინის გზის ლიანდაგი ლაშქრობის დამთავრების შემდეგ ისევ იმათვე უნდა დაუბრუნდეს, ვისაც აქამდე ჰქონდაო.

**მონცა.** მეფის მკვლის შესახებ კიდევ შემდეგი ცნობებია მოკრებილი: დაჭრილმა მეფემ სთქვა თურმე —„ეს არაფერიაო". ეტლი სამს წუთს მივიდა საგიმნასტიკო საზოგადოების სახლიდგან მეფის სასახლემდე. მეფე მაშინ გარდაიცვალა, როდესაც სახლში შეჰყავდათ. დაბარებულს მკურნალებს იგი უკვე გარდაცვალებული დაჰხვდათ. მკვლელი ახალგაზდა, ახოვანი, ლონიერი კაცია, მუქ ქერა-თმიანი.—აქ იმ აზრისანი არიან, რომ ვიქტორ ემმანუილი პირეიდგან ანტიგარში გავიდოდაო.—ის ოთახი, რომელშიაც შებურეს მეფის გვამი, სამლოცველოდ არის გარდაქცეული.

19 ივლისი

**პეტერბურგი.** ჩინეთის იმ ჯარის იარაღის ასაყრელად, რომელიც გამოჩნდა ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულის ნეიტრალს ნაწილზედ, პორტ-არტურიდგან გაგზავნილი იყო რამდენიმე რაზმი და შემდეგ ბიძივოდგან ასი შტინის პოლკის ჯარის-კაცი. ერთს ამ რაზმთაგანს, რომელსაც მსროლელთა პოლკის უფროსი, პოლკოვნიკი ხორუჟენკოვი უფროსობდა, თავს დაესხა ჩინეთის აღმოსავლეთ რკინის გზის ლიანდაგს ახლო მყოფ ციხის სენიუჩენის მეციხოვანე ჯარი. ეს ჯარი უკუ-ქცეულ იქმნა და შემდეგ თვით ციხეც იერიშით აღებულ.

**პარიჟი.** დღეს კოვალევსკიმ წარუდგინა ლუბეს გამოფენაზედ მოსულნი რუსეთის მასწავლებელნი და პროფესორნი.

**ჩიფუ** რუსებმა დაიპყრეს 13 ივლისს ნაუჩანის სიმაგრე.

**რომი.** მეფე ვიქტორ ემმანუილი გემში ჩაჯდა რეჯიო-კალაბრიაში და ნეაპოლს მიბრძანდა. მინისტრების სენატორები და დეპუტატები ნეაპოლსავე წავიდნენ მეფე-დედოფლის დასახვედრად. ოილით ჯარმა რომსა და ითალიის ყველა ციხე-სიმაგრეებში მეფისერთგულება შეჰფიცა, მთელს იტალიაში სრული მშვიდობიანობაა. მწუხარების გრძნობის განცხადება ჰმატულობს.

**ლონდონი.** ბროდრიკმა განაცხადა, რომ მთავრობას აღარ მიუღია აღარა ვითარი ცნობა პეკინში მყოფ საელჩოთა შესახებ, მაკდონალდის დეპეშის გარდა. პალატის ერთი წევრთაგანი შეეკითხა,—არ შეიძლება მოკავშირეთა ჯარმა ლაშქრობა დაიწყოს ისე, რომ მთავარ-სარდლის დანიშნვას აღარ მოელოდნოს, ან იაპონიას მიენდოს მის შინრ თავისით დასაწყები მოქმედებანიო? ბროდრიკმა უპასუხა, რომ გეზლი განბჭობს ამ ჟამად დაუყოვნებლივ ლაშქრობის დაწყების საქმეს და იმედიცა აქვს მოკავშირეთა ჯარის დახმარებისაო.

**ბრიუსელი.** იუწყებიან, რომ შენმა აცნობა ამერიკის მთავარ-ელჩს: ცზუნგ ლი-იამენი უარს ამბობს და არ იძლევა პირობა-დადებულ ნიშნებიანს დეპეშებს და თხოულობს, რომ დეპეშები ყველასათვის გასაგებად იყოს დაწერილიო. გზები ძალიან ცუდს მდგომარეობაშია და პეკინამდე დიდ-ძალი ჩინელები არიან გზად. კონჯერის მიერ ამერიკის ელჩთან მიწერილ ბარათში ნათქვამია, რომ „3 ივლისიდგან, მორიგების თანახმად, სროლა შეწყვეტილა. სურსათი კიდევ რამდენისამე კვირის სამყოფი გვექმნება; საჩხედრო სამზადისი ცოტა ღა დაგვრჩა; თუ ჩინელებმა განაგრძეს ყუმბარების სროლა, დიდხანს ვერ გავუმაგრდებით; იმედია, რომ დახმარებას ჩქარა ვეღირსებით. სურსათად მხოლოდ ბრინჯი და ცხენის ხორცი-ღა გვაქვს. დიდს სიფრთხილეს ის გვიქადის, რომ ტიან-ძინში დამარცხებული ჩინელები პეკინში მოდიან. ამერიკელებმა 20 ივნისის ღამეს თამამად შეუტიეს ჩინელებს და დიდად დააზარალეს".

---

**მიქელ-გაბრიელის უფასო სამკითხველოს მოკლე ანგარიში.**

1900 წლის პირველ იანვრიდგან ს. მიქელ-გაბრიელში დაარსდა უფასო სახალხო წიგნთ-საცავ სამკითხველო, რომლის გამგეობაც დროებით მე მომანდეს. ეხლა პატივი მაქვს, როგორც სამკითხველოს წევრებს, ისე მკითხველს საზოგადოებას გაუწყო ნახევარი წლის ანგარიში სამკითხველოსი:

როდესაც მე მომივიდა სამკითხველოს გამგეობა მომანდეს, არავითარი ქონება სამკითხველოსთვის, ნება-რთვის გარდა, არა გვქონია. მაშინათვე სამკითხველოსათვის შენობის შენას შევუდექი და კიდევაც შევიძინე; მოვაწყე უბრალო სკამებით, შკაფებით, მაგიდით და ჩვენის საუკეთესო მწერალ-მოღვაწეთა სურათებით; გამოვიწერე: „ივერია", „კვალი", „მოამბე", „ცნობის ფურცელი", „კრებული", „ნივა", „ჩერნომორსკი ვესტნიკი" და „კავკაზი"; შევიძინე 29 წევრი, რომლებისაგანაც მივიღე 84 მან., მივიღე კერძო შეწირულება 216 მან., შევიძინე სხვა-და სხვა რუსულ-ქართული წიგნები, უფასოდ—200 ცალი, ფულადკი 40 ცალი. დღემდის გაუტანიათ და უსარგებლიათ 706 ცალი წიგნითა და ჟურნალ-გაზეთით, როგორც ამას უჩვენებს სამკითხველოს დავთარი. ამის გარდა სამკითხველოს სახელზედ კიდევ არის შეკრებილი ფული, რომელიც ჯერ არ მიმიღია და თავისს დროზედ იქნება ნაჩვენები.. სულ სამკითხველოს ფული მივიღე 300 მან., დავხარჯე 194 მ.ნ. და 17 კაპ., დარჩა 105 მ. 83 კ., რომელიც მომავლის კრების გარდაწყვეტილებისა თანახმად დაიხარჯება. ეს კრება დანიშნულია 23 ივლისისთვის და ვთხოვ ყველა წევრს კეთილ ინებონ და დაესწრნენ.

რაც შეეხება ჟურნალ-გაზეთების მდგომარეობას სამკითხველოში, მოგახსენებთ შემდეგს: სადგური ნატანები, საიდგანაც ჩვენ გაზეთები მოგვდის, დაშორებულია ჩვენზედ 8—9 ვერსის მანძილზედ; როგორც ახალსა და ძარიბს სამკითხველოს, საკუთარი ბიჭი არ დაგვეშვირა და 40—50 მან. ხარჯა შევუმოკლე, სამაგიეროდ მეთაურობა მივანდე ჩემდამი რწმუნებულ სკოლის „სტოროჟს", რომელიც კვირაში სამჯერ დადის სადგურზედ და ჟურნალ-გაზეთები პირდაპირ სამკითხველოში მოაქვს.

უღრმესს მადლობას ვუცხადებ „ივერიის", „კვალის" და „კრებულის" რედაქციებს, რომლებმაც შეღავათით დაგვითმეს თავიანთი გამოცემანი და აგრეთვე ალექსი, თეოფილე, სოლომონ და იაკობ ბოლქვაძეებს, ნესტორ კეჭელმაძეს, ნოე კეჭაღმაძეს, კარდენ ხახამძეს, ნიკიფორე ხომერიკის, ქ. ქ. მარინე მეგრელიძეს, რისა კეჭაღმაძისას და ელენე ნაკაიძეს სამკითხველოს საქმეში შემწეობისათვის.

მიქელ-გაბრიელის სკოლის ზედამხედველი და სამკითხველოს გამგე მოსე ა. მეგრელიძე.

---

**ქართულის ენის საუნჯის მასალად**

(შემდეგი *)

წ

წაკა—წათხი. ფშ.

წარაუკონთ ლაპარაკი—წარამარად ბოდვა. ფშ.

წარბვა—ფიცრების ნაპირებ ს ამოღარვა ერთმანერთზე გასაწყობად.

წარნიკი—ძალიან ავი კაცი. ფშ.

წარზედ—კარგად, რიგიანად, ფშ.

წახურვა მხრებისა—ფრინველთაგან მხრების წამწვეტება ძირს დასაქანებლად. ფშ.

წაძიძგილება—კინკლაობა,

წაწალი—დობილი, ნადობი. ფშ,

წბილა—ბალახის წვრილი ღერი ნემსის მსგავსი. ფშ.

წელწადი—ახალი წელი. ფშ.

წეკვა—ერთად შეკრული თამბაქო. ფშ.

წეპწკალი—თმისა ან წვერის საგლეჯი პატარა გაზი. ფშ.

წერა—ოთხფეხად დადგმული ძნა, სულ რამდენიმე მეძნისა. ფშ.

წერასწყა—საჭმელი სოკოა, მაღალი ფეხი აქვს, თეთრი ქუდი ჰხურავ. ჩუბ. ამბობს: მცენარე არისო. ამ სოკოს საბა წეროს წვივას ეძახის. მართლაც აყაყულია. შემოდგომის ავდრიან ამინდზედ იცის ამოსვლა ყამირზედ, სადაც სასუქია ბელტში ჩამკვდარი. ფშ.

წიაპა—წიწილა. ფშ.

წილობა—მოხარშულ ხორცის ნაჭერი. ფშავ.

წიმარო წყალი—თავანკარი წყალი. ფშ. ეს ღვინო წიმარო წყალიაო. სულ წყალი არისო.

წინწელი—ნაპერწკალი. ფშ.

წიპრია—ჩიტია, Чижъ. ფშ.

წივლის ჩიტა—ჩიტია, ბეღურასა ჰგავს, ფშავ.

წიწვი ან ხიწვი—хвой. ქართლ.

წოპი—მაღალი ქუდი.

წოპწოპი—წოწოლა. ქართ.

წოწვა—დაწოწავს, დაეთრევა უდროო დროს. ქართ.

წრინტვა—წყლისა ან ფურთხის პირიდგან ერთბაშად გამოშვება, ხევსურები არ აფურთხებენ, ერთბაშად აწრინტებენ. ფშ.

წრუტვა—ხარბად სმა რისამე. ქართ.

წრიოკი—წვრილი. მცენარეზედ ითქმის. ქართ. „ყანა გაწრიოკდა წვიმებისგან".

წუა—Квасъ. გამოწურული წვენი ხილისა. ფშ.

წუკი—ცუდი. ფშ.

წუნია—დამწუნებელი ყველაფრისა.

წუპაკი—წუნტი, უსუფთაო.

წურწუტი—წვრილი და გრძელი; უტოტო ხე. ფშ.

წურწილი ერბო—ნადუღი, გადამდნარი ერბო. ფშ.

წუწნელა—თაფლოვანი მცენარე. ქართ.

წყლულის ბალახა—მც. მთებში იცის, დახუჭუჭებული ფოთოლი აქვს. წყლულის წამლად ჰხმარობენ.

წყლის ნაკვეთი—წყალზედ გადაკიდებული ბექობი. ფშ.

თ. რაზიკაშვილი

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „ივერია" № 155.

---

**განცხადებანი**

**რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით**

**ნიუ-იორკის**

**საზოგ'დოებაში სიცოცხლის დაზღვევას?**

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ იორკს" საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება შეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

ის, რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის $6\%$-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება ისეთს პოლისებსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ იორკის" საზოგადოებას სამუდამო წინადად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის" საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

ის, რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის" საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

ის, რომ „ნიუ-იორკის" საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტის კორპუსის პირდაპირ)

(12 . 50—10)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19-го Іюля 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი. გამომცემელი ილია ჭავჭავაძე